ფეხბურთი

## ტფილისის "დინამოელები" ბათომში

28 ივლისს, ბათომში ერთმანეთს შეხვდნენ ტფილისის "დინამოს" და ბათომის "დინამოს" ფეხბურთელები.

ბათომელი ფეხბურთელები სულ ახალგაზრდები არიან. მათი თამაში მეტად სწრაფია, მაგრამ ნაკლებათ აქვს ათვისებული თამაშის ტექნიკა. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ტფილისის "დინამომ" შეჯიბრი მოიგო თვლით 2:0.

უკვე დაიწო ფეხბურთელთა გუნდებს შორის საკავშირო "თასის" გათამაშება. პირველობის გათამაშება ოლიმპიური სისტემით მიმდინარეობს, დამარცხებულ გუნდი შეჯიბრიდან გამოდის.

„ახალგაზრდა კომუნისტი“, 2 აგვისტო 1936 წ.